თუ თქვენი საწარმო გადახდისუუნარო გახდა

თამარ გოგოლაშვილი, იურისტი

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 28 მარტს მიიღო საქართველოს კანონი **„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“**, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 15 აგვისტოდან. შესაბამისად, 2007 წლის 15 აგვისტოდან ძალადაკარგულია საქართველოს კანონი **„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“**.

გადახდისუუნარობის სამართალი ის დარგია, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში აქამდე მას **გაკოტრების სამართალი** ეწოდებოდა, თუმცა, დღეისათვის მოქმედი კანონის სახელწოდებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი და ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ მას **გადახდისუუნარობის სამართლის სახელით** მოვიხსენიებთ.

მართალია, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგების (საბანკო სამართალი, სამეწარმეო სამართალი და სხვ.), გადახდისუუნარობის სამართლის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენებაც იურიდიულ ცოდნას მოითხოვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ გადახდისუუნარობის სამართალი (ანუ, გაკოტრების სამართალი) სამართლის იმ დარგთაგანია, რომლის გარკვეულ დონეზე ცოდნა თითოეული მეწარმისთვის აუცილებელია.

დარწმუნებული ვარ, რომ დღეისათვის თითოეული პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, გარკვეული სახით იცნობს საქართველოს კანონს **„მეწარმეთა შესახებ“**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც **„მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონს, **„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“** საქართველოს კანონსაც დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან თუ **„მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონი არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, **„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“** საქართველოს კანონი აწესრიგებს **საწარმოს** (და არა მარტო საწარმოს) **არსებობის იმ პერიოდს, როდესაც საწარმო ეკონომიკური არსებობის საფრთხის წინაშე დგება და ადგენს იმ წესებს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ან საწარმოს გაკოტრება, ან მისი ფინანსური სიძნელეების დაძლევა და საწარმოს გაჯანსაღება, ანუ, რეაბილიტაცია.**

ვფიქრობ, მეწარმეთათვის ძალზედ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როდის, რა საფუძვლების არსებობისას იწყებს მოქმედებას მეწარმის მიმართ გადახდისუუნარობის სამართალი და რა გზა უნდა გაიაროს მან ეტაპობრივად გადახდისუუნარობის, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის გამოაშკარავებიდან საწარმოს გაკოტრებამდე, ან რეაბილიტაციამდე.

1. რა მიზანს ისახავს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი?

– ახალი კანონი ადგენს, რომ მისი მიზანი მოვალისა და კრედიტორების ინტერესების თანაზომიერი დაცვაა. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ფინანსური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, არსებობს ორი გზა: **საწარმოს გაკოტრება** (ანუ, მოვალის ქონების რეალიზაცია და ამით კრედიტორების დაკმაყოფილება), **ან საწარმოს რეაბილიტაცია** (ანუ მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევა). ამდენად, რეაბილიტაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ გადახდისუუნარობის სამართალი არეგულირებს არა მარტო სამართლებრივი და ეკონომიკური **„ცხოვრებიდან“** მოვალის **„გაქრობას“**, არამედ, მოვალის გადარჩენას, მისი სამართლებრივი და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის აღდგენას და გაჯანსაღებას.

2. ვისზე ვრცელდება „გადახდისუუნარობის

საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება?

– **„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“** საქართველოს კანონი ვრცელდება შემდეგ პირებზე: **ამხანაგობაზე, არარეგისტრირებულ კავშირზე, არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე** და ბოლოს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე: **ინდივიდუალურ საწარმოზე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე** (სპს), **კომანდიტურ საზოგადოებაზე** (კს), **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე** (შპს), **სააქციო საზოგადოებაზე** (სს) **ან, კოოპერატივზე.**

ამდენად, დღევანდელ სამეწარმეო საქმიანობაში ესოდენ გავრცელებული ფორმის საწარმოებზე, როგორიცაა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** (შპს), ვრცელდება **„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“** საქართველოს კანონის მოქმედება.

რაც შეეხება **ფიზიკურ პირებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ბანკებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებს,** მათი გადახდისუუნარობის საკითხებს ზემოაღნიშნული კანონი არ არეგულირებს.

3. როდის დგება მოვალის ფინანსური სიძნელეების საფრთხე?

– კანონი ადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში წარდგენის საფუძველია **მოვალის გადახდისუუნარობა, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.** საინტერესოა, როდის არის მოვალე გადახდისუუნარო, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის საფრთხის

წინაშე.

გადახდისუუნარობა სახეზეა, როდესაც, მოვალეს უნარი არ შესწევს დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა. ამდენად, იმისათვის, რომ გადახდისუუნარობის არსებობაზე ვისაუბროთ, უნდა არსებობდეს სამი პირობა:

1. უნდა არსებობდეს კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ, 2. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი; 3. მოვალეს არ უნდა შესწევდეს აღნიშნული მოთხოვნის შესრულების უნარი.

მოსალოდნელი გადახდისუუნარობა კი მაშინ არსებობს, როდესაც მოვალე სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში უახლოეს მომავალში გახდება, ან შესაძლებელია გახდეს გადახდისუუნარო.

აღსანიშნავია ასევე **კრედიტორის** ცნება კანონის მიხედვით. კანონი ადგენს, რომ, **კრედიტორი შეიძლება იყოს პირი (პირის ქვეშ იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი), რომელსაც გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის მომენტისათვის მოვალის მიმართ აქვს საფუძვლიანი ფინანსური მოთხოვნა. რაც შეეხება კრედიტორის მოთხოვნას, როგორც აღვნიშნეთ, იგი შეიძლება იყოს ვადამოსული (ანუ, მოთხოვნა, რომლის შესრულების ვადაც უკვე დამდგარია) ან, ვადამოუსვლელი (ანუ მოთხოვნა, რომლის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა). კანონი იცნობს ასევე სხვა სახის კრედიტორის ცნებას, რომელზეც შემდგომ გვექნება საუბარი.**

4. სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ გადახდისუუნარობის საქმეებს:

– **გადახდისუუნარობის შესახებ საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები.** ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია - დასავლეთ საქართველოს.

ამასთან, გარდა არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობისა, სასამართლო საქმეს იხილავს მოვალის იურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საქმეებს – მოვალის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

5. სასამართლოში გადახდისუუნარობის განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები:

– კანონი ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეიტანონ განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ამ პირთა წრე ფართოა და თითოეული პირის მიერ სასამართლოში განცხადების შეტანისას უნდა არსებობდეს

გარკვეული გარემოებები, შევჩერდები მხოლოდ რამდენიმე მათგანზე:

- **სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს თვით გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მდგარ მოვალეს; კანონის ასეთი მიდგომა ლოგიკურიცაა, რადგან, მოვალეზე უკეთ, ალბათ, ძნელია შეაფასოს სხვა პირმა მოვალის ფინანსური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი, მოსალოდნელი გადახდისუუნარობისას;**

- **საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოებს, თუ მოვალის ვალის ოდენობა არანაკლებ 50 000 ლარია და გადასახადის გადახდის ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 60 კალენდარული დღისა;**

- **სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლება** აქვთ ასევე **კრედიტორებს,** კანონით ზუსტად დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი გარემოებების არსებობისას.

ძალიან მნიშვნელოვანია მოვალის უფლებების დაცვასთან მიმართებაში კანონის ის დათქმა, რომლის თანახმადაც, გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება ზემოაღნიშნულ პირებს (გარდა მოვალისა) აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ვადაგადაცილებული მოთხოვნის შესახებ მოვალე წერილობითი შეტყობინებით იყო ინფორმირებული კრედიტორის მიერ სასამართლოში განცხადების შეტანამდე არაუგვიანეს 30 დღისა. ამასთან, შეტყობინებაში განცხადების შეტანაზე უფლებამოსილმა პირებმა უნდა მიუთითონ, რომ მოვალის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი სასამართლოში შეიტანენ წერილობით განცხადებას გადახდისუუნარობის შესახებ.

6. ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ:

— კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ აუცილებელ მონაცემებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, როგორც მოვალის, ისე, კრედიტორის მიერ სასამართლოში წარდგენისას. გამომდინარე იქიდან, რომ კანონში ისინი დეტალურად და ნათლადაა ჩამოთვლილი, ვფიქრობ, ისინი განმარტებას არ საჭიროებს. საინტერესოა, რომ ზოგადად განცხადების აუცილებელი რეკვიზიტების გარდა, კანონი განცხადებასთან მიმართებაში ადგენს დამატებით განსხვავებულ მოთხოვნებს იმისდა მიხედვით, თუ ვის შეაქვს განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ. ასე მაგალითად, თუ განცხადების შემტანი მოვალეა, განცხადება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის ოდენობის შესახებ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტებისა და ბანკების მისამართების მითითებით, ასევე, მოვალის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, **რომ მოვალე გადახდისუუნაროა, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე იმყოფება და სხვ.** ხოლო, თუ სასამართლოში განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ კრედიტორს შეაქვს, მასში დამატებით უნდა აღინიშნოს: **კრედიტორის მიერ მოვალისგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა, ვალის წარმოშობის საფუძველი (მაგ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება), თარიღი და მითითება, უზრუნველყოფილია თუ არა ეს ვალი (მაგალითად: თუ საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით, ან გირავნობით არის დატვირთული ქონება, აუცილებელია ამის მითითებაც), მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ მოვალე გადახდისუუნაროა და სხვ.**

7. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ:

- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში განცხადება მიიღება წარმოებაში (თუ განცხადებას აქვს ხარვეზი, განმცხადებელს ეძლევა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად). განცხადება წარმოებაში მიიღება სასამართლოს განჩინებით, რომლითაც სასამართლო: 1. **ნიშნავს მეურვეს და 2. განსაზღვრავს კრედიტორთა კრების დღეს, რომელიც უნდა გაიმართოს განჩინების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30 დღისა.**

სასამართლოს განჩინება გადახდისუუნარობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას სასამართლო დაფაზე და ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. შეიძლება სასამართლოს მიერ დადგინდეს განჩინების დამატებით სხვა ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებაც.

კრედიტორები ვალდებულნი არიან, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლო წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები მოვალის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი თავის მოთხოვნებს დაგვიანებით წარუდგენს სასამართლოს, აღნიშნული მოთხოვნების აღიარების საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

8. ᲛᲔᲣᲠᲕᲔ:

— როგორც აღინიშნა, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლო წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით ინიშნება **მეურვე.** მეურვე ცენტრალური ფიგურაა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში, რომელიც იცავს მოვალის ქონებას, იხილავს და აფასებს მოვალის კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებს, ადგენს

ყველა კრედიტორის ვინაობას და ატყობინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, ასევე, ახორციელებს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს. მეურვეზე დაკისრებული ფუნქციების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მეურვეს, კერძოდ კი, იგი უნდა იყოს მხარეთაგან დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი პირი, ნომინირებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი–აუდიტორი, ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი–ადვოკატი საერთო, ან სამოქალაქო სპეციალიზაციით.

9. ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ:

- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლო წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით ინიშნება ასევე კრედიტორთა კრება, **რომელსაც ამზადებს მეურვე და ხელმძღვანელობს მოსამართლე**. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს კრედიტორთა კრების არა იმდენად პროცედურული საკითხები (მათ შორის, მოწვევის ვადები, გადაწყვეტილების მიღების წესები და სხვ.), არამედ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. კრედიტორთა კრებას შეიძლება ესწრებოდნენ როგორც კრედიტორები, ისე მოვალე.

კრედიტორთა პირველ კრებაზე მეურვე აკეთებს მოხსენებას მოვალის ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების შესახებ, ასევე იმ კრედიტორების შესახებ, რომელთა მოთხოვნებიც უზრუნველყოფილია.

კრედიტორთა კრებას შეიძლება ესწრებოდნენ როგორც კრედიტორები, ისე მოვალე. კრედიტორთა პირველ კრებაზე ასევე ხდება კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება და იქმნება სამომრიგებლო საბჭო.

10. ᲡᲐᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ:

- სამომრიგებლო საბჭო კოლეგიალური ორგანოა, რომელიც არსებითად აფასებს და წყვეტს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს. იგი უფლებამოსილია, მიიღოს გადახდისუუნარობის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

1. **გადაწყვეტილება გაკოტრების შესახებ;**
2. **გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ;**
3. **გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ**.

იმ შემთხვევაში, თუ სამომრიგებლო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო, დანარჩენი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთის მიღების შემთხვევაში გადახდისუუნარობის საქმის წარმოება გაგრძელდება შემდეგი მიმართულებებით: **ან იწყება გაკოტრების საქმის წარმოებ, ან ხორციელდება რეაბილიტაცია**. თავიანთი მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე, გაკოტრება და რეაბილიტაცია საჭიროებს დეტალურ, თანმიმდევრულ ანალიზს, რის გამოც ისინი არ არის განხილული მოცემულ სტატიაში.

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ

ზემოთ განხილული იყო გადახდისუუნარობის სამართლით რეგულირებული შესავალი და ზოგადი საკითხები – გადახდისუუნარობის განცხადების სასამართლოში შეტანა და მისი სამართლებრივი შედეგები. როგორც აღვნიშნეთ, გადახდისუუნარობის განცხადების სასამართლოში შეტანითა და მისი შემდგომი განხილვით დგინდება, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს საქმე: **გაკოტრების, თუ რეაბილიტაციის გზით**.

გერმანელი ბანკირი ბატონი **ᲐᲑᲡᲘ** კითხვაზე, როგორი იქნება პერსპექტივა, პასუხობდა: **წინასწარმეტყველებაში არასოდეს შევმცდარვარ, რადგან, იგი ჯერ არასოდეს გამიკეთებია**. როდესაც გადახდისუუნარობის სამართლის განვითარების პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, დასკვნების გაკეთება ჯერ კიდევ ნაადრევია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი სრულყოფილად და ნათლად აწესრიგებს გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული კანონი ქართულ გადახდისუუნარობის სამართალში პასუხგაუცემელ კითხვებს არ დატოვებს.